გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

2020-2021 წლის საუკეთესო პრაქტიკის პროგრამაში მონაწილეობაზე

ტყიბულის მუნიციპალიტეტი

1. პრაქტიკის/ინიციატივის სათაური:
(სათაურში მოკლედ უნდა მიეთითოს პროექტის შინაარსი)

ტყიბულის მუნიციპალიტეტის დაწყებითი კლასის მოსწავლეთა პროფილაქტიკური გამოკვლევა- თვალის პათოლოგიასა და სქოლიოზზე.

თემატიკა:

გენდერული თანასწორობა და ადამიანის უფლებები ადგილობრივ დონეზე.

2. პრაქტიკის/ინიციატივის ავტორი/ინიციატორი:

ტყიბულის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო

3. მუნიციპალიტეტის ზოგადი მონაცემები:

ტყიბულის მუნიციპალიტეტი, რომელიც ისტორიულ ოკრიბას მოიცავს, მდებარეობს დასავლეთ საქართველოში, კერძოდ იმერეთში, ზღვის დონიდან 600-800 მეტრ სიმაღლეზე. იგი გაშენებულია მდინარე ტყიბულას ორივე სანაპიროზე, რომელიც შემოფარგლულია ტყით დაფარული მთაგორიანი ტერიტორიით. ტყიბულის მუნიციპალიტეტში შედის ქალაქი ტყიბული და 47 სოფელი.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოედინება მდინარეები: ლეხიდარი, ძუსა. ტყიბულა, მაღარა-ჭიშურა, წყალწითელა, ქვეხუნა. არის რამდენიმე ჩანჩქერი მუხურასა და ძმუისში. ფლორა და ფაუნა წარმოდგენილია როგორც კოლხური არეალის, ასევე კავკასიური ენდემური ჯიშებითა და სახეობებით.

ტყიბულში მრეწველობის ძირითადი დარგია ქვანახშირის მოპოვება, ქვანახშირის საბადო 1825 წელს აღმოაჩინეს და დამუშავება-ექსპლუატაცია 1846 წელს დაიწყო. ტყიბულში მოედინება მინერალური წყალი. სოფლის მეურნეობის ძირითადი პროდუქტებია სიმინდი, ვენახი, ჩაის კულტურა. განვითარებულია მეცხოველეობა, მფუტკრეობა და მეხილეობა.

ტყიბული განთქმულია ისტორიული ძეგლებით: გელათის და მოწამეთას სამონასტრო კომპლექსი, ბუნების საოცრებას წარმოადგენს ცუცხვათის მღვიმოვანი „მაღარა“, რომელიც 13 სართულისგან შედგება და ასევე „ცხრაჯვარი“.

2014 წლის მოსახლეობის აღწერით, ტყიბულში 20 839 ადამიანი ცხოვრობს, გარდა ქართველებისა არიან რუსები და უკრაინელები.

4. მუნიციპალიტეტის მახასიათებლები:
(გარემოებები, რომლებიც გავლენას ახდენს მუნიციპალიტეტის საქმიანობაზე)

- **შიდა ფაქტორები** - იმ გარემოებების აღწერა, რომელიც გავლენას ახდენს საუკეთესო პრაქტიკის კონკურსში წარდგენილი პროექტის განხორციელებაზე, მაგ.: საჯარო მოხელეების კვალიფიკაცია, ფინანსური რესურსი, ტექნიკური შესაძლებლობები და ა.შ.;

პროექტის განხორციელებაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მუნიციპალიტეტის მოხელეების მზაობამ ახალი მოქალაქეების საჭიროებებზე დაფუძნებული სერვისების დანერგვისთვის, რითაც ტყიბულის მუნიციპალიტეტი ყოველთვის გამოირჩევა და ყოველწლიურად ხდება ხანდაზმულების, მოწყვლადი კატეგორიებისთვის ახალი სერვისების დანერგვა, გაფართოება.

გამოინახა გარკვეული ფინანსური რესურსი ინიციატივის მხარდასაჭერად, რაც განაპირობა გენდერული თანასწორობის პროგრამაში გათვალისწინებულმა ხარჯებმა, რომელიც სხვადასხვა გენდერული ჯგუფების უმთავრესი საჭიროებების დაკმაყოფილებისკენ იყო მიმართული. მომზადდა ტყიბულის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმის პროექტი, საბჭოს სხდომაზე მოეწყო განხილვა და პროექტში აისახა ცვლილებები. სხდომაზე განხილულ იქნა დაწყებითი კლასის მოსწავლეთა პროფილაქტიკური გამოკვლევების საკითხი, რამაც მოწონება და მხარდაჭერა დაიმსახურა.

ჩატარდა მცირე მოკვლევა, რომელმაც ცხადყო მუნიციპალიტეტში ხერხემლის და თვალის პათოლოგიების პროფილაქტიკის საკითხების მიმართ დაბალი ინფორმირებულობა და ოჯახების მწირი ფინანსური მდგომარეობა, რომლის გამო მათ გაუჭირდებოდათ გადაწყვეტილების მიღება - ქუთაისში, ან რომელიმე სხვა ქალაქში არსებულ კლინიკებში მიემართათ ბავშვების პროფილაქტიკური გასინჯვების საკითხზე.

საკრებულოდან გამოიყო შესაბამისი ტრანსპორტი, სხვადასხვა სახის მომსახურეობისთვის.

გარე ფაქტორები - ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური მდგომარეობა, ასევე, მუნიციპალიტეტის საქმიანობაზე გავლენის მქონე სხვა ფაქტორები (მნიშვნელოვან სატრანზიტო გზასთან სიახლოვე, მსხვილ საერთაშორისო პროექტში ჩართულობა და ა.შ.), რომლებსაც შეეძლო გავლენა მოეხდინა პროექტის განხორციელებაზე;

პროექტის განხორციელებაზე გარე ფაქტორებიდან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა კერძო კლინიკებთან კონსტუქციულმა კომუნიკაციამ.

5. პრაქტიკის/ინიციატივის მოკლე აღწერა:
(მაქსიმუმ ერთი გვერდი. მნიშვნელოვანია, რომ შინაარსი მოიცავდეს შემდეგ სავალდებულო საკითხებს)

- **გამოწვევა** - პრობლემის მნიშვნელოვანი გარემოებების მითითება;

- **წარსული გამოცდილება** - როგორ ხდებოდა გამკლავება აღნიშნულ პრობლემასთან და რა უშლიდა ხელს მის აღმოფხვრას;
- **პასუხი არსებულ გამოწვევაზე** - მოკლე აღწერა და მიღწეული შედეგი

ტყიბულის მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ გამოვლენილი იყო პრობლემა, რომელიც მდგომარეობს მოზარდებში ხერხემლის და თვალის პათოლოგიების ადრეული პროფილაქტიკის დაბალ ხარისხში. პრობლემა გამოვლინდა საჯარო სკოლის მასწავლებლებთან და მოსწავლეებთან შეხვედრისას. ძალადობის კამპანიების გამართვისას და ასევე ნაადრევი ქორწინების თემაზე, ცნობიერების ასამაღლებლად გამართულ შეხვედრებზე. მასწავლებლებმა ერთ-ერთ ძირითად პრობლემად მხედველობისა და სქოლიოზის პათოლოგიები დაასახელეს. მასზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს როგორც საკითხის მიმართ არასათანადო ინფორმირებულობა, ასევე ოჯახების დაბალი შემოსავალი, რის გამოც მშობლებს უჭირთ სათანადო ყურადღების მიქცევა პათოლოგიაზე საფუძვლიანი ეჭვის შემთხვევაშიც კი (ვიზუალური ნიშნები). თუმცა, არის შემთხვევები, როცა აშკარა ვიზუალური მინიშნება არ არის, მაგრამ სპეციალისტის დასკვნით, შეიძლება საქმე გვქონდეს სერიოზულ პათოლოგიასთან, რომელიც სათანადო კორექციას და მკურნალობას საჭიროებს.

საკითხზე ნეგატიურად აისახა პანდემიის პერიოდი, როდესაც მოზარდებს შეეზღუდათ სოციალური კავშირები და ფიზიკური აქტივობა; ასევე ონლაინ სასწავლო რეჟიმი და ელექტრონულ მოწყობილობებთან გადანაცვლებული სასწავლო პროცესი.

წარსული გამოცდილება საკითხთან დაკავშირებით მიუთითებდა, რომ მაშინ, როდესაც ადრეულ ასაკში არ მოხდა საკითხზე ყურადღების განახვილება, ამან მოიტანა სერიოზული გართულებები მოზარდების ჯანმრთელობისთვის.
ამ საკითხით განსაკუთრებით შეწუხებული აღმოჩნდნენ დედები, რომელთაც ძირითადად ევალებათ ზრუნვის პოლიტიკა ბავშვებზე და ოჯახის წევრებზე.
სწორედ ამ პრობლების საპირწონედ განხორციელდა ინიციატივა - **„ტყიბულის მუნიციპალიტეტის დაწყებითი კლასის მოსწავლეთა პროფილაქტიკური გამოკვლევა - თვალის პათოლოგიასა და სქოლიოზზე“.**

პროგრამა ითვალისწინებს ზოგადასაგანმანათლებლო დაწესებულებებში დაწყებითი კლასების მოსწავლეების პროფილაქტიკურ გამოკვლევას აღნიშნულ ასაკობრივ ჯგუფში ერთერთი ყველაზე უფრო გავრცელებული პათოლოგიების - თვალის პათოლოგია და სქოლიოზის პრევენციისთვის.

მოხდა აღნიშნული პათოლოგიების ადრეული დიაგნოსტიკა დროული მკურნალობისა და მათთან დაკავშირებული სხვა დაავადებების აღმოცენების პრევენციის მიზნით.

პროგრამის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს ტყიბულის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის პირველი და მეორე კლასის მოსწავლეები.

198 მოზარდისათვის ხელმისაწვდომია აღნიშნულ ასაკობრივ ჯგუფში ყველაზე უფრო გავრცელებული პათოლოგიების პროფილაქტიკა.

6. განხორციელებული პრაქტიკის/კონკრეტული ინიციატივის დეტალური აღწერა: (გამოწვევის გამკლავების მიზნით გაწეული სამუშაო. გთხოვთ, პრაქტიკის აღწერისას თანმიმდევრულად მიყვეთ ქვემოთ ჩამოთვლილ პუნქტებს)

- **პროექტის შინაარსი;**

პროექტის განხორციელებისთვის შეიქმნა პროექტის გუნდი, რომლის კოორდინაციას ახდენდა გენდერული თანასწორობის საბჭო (მისი თავმჯდომარის - ნატალია კობახიძის სახით) და მის შინაარსობრივ და ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებდა მერიის გენდერულ საკითხებზე პასუხისმგებელი პირი (ინგა ფარცხალაძე).

მოხდა ინფორმაციის შეგროვება სავარაუდო ბენეფიციარებზე, სკოლის მასწავლებლებისგან მოგვეწოდა ინფორმაცია. განისაზღვრა სამიზნე ჯგუფების კატეგორია. მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომ პირველ ეპატზე მოხდეს პირველი და მეორეკლასელი მოსწავლეების პროფილაქტიკური გასინჯვა, შეზღუდული რესურსების გამო.

განხორციელდა მოლაპარაკება კლინიკასთან და დაიდო ხელშეკრულება ექიმებთან. მოხდა ინიციატივის თაობაზე ინფორმაციის გავრცელება და აქციის დაანონსება სოციალური მედიით, საგანმანათლებლო დაწესებულებების პერსონალის ჩართვით.

- **აქტივობათა გეგმა/გრაფიკი** (გთხოვთ წარმოადგინოთ ცხრილის სახით);

გრაფიკი, დანართი №1 და დანართი №2

- **პროექტის განხორციელებისათვის მიღებული/გაფორმებული გადაწყვეტილებების, ან პროექტთან დაკავშირებული დოკუმენტების ჩამონათვალი** (მუნიციპალიტეტის რელევანტური სტრატეგიული დოკუმენტები, განვითარების გეგმა, ბრძანებები, განკარგულებები, დადგენილებები, რეზოლუციები, შეხვედრის ოქმები, ინსტრუქციები და ა.შ.). *<u>აღნიშნული დოკუმენტაცია თან უნდა დაერთოს განაცხადის შევსებულ ფორმას;</u>*

ტყიბულის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომის ოქმი,
დანართი 3

- **ინფორმაცია მოქალაქეების, სხვადასხვა ორგანიზაციებისა და ინსტიტუციების** (მ.შ. მიზნობრივი და მოწყვლადი ჯგუფების, უმცირესობების, ქალების, ახალგაზრდების, ადგილობრივი სათემო ორგანიზაციების, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების, დასახლების საერთო კრების, მერის მრჩეველთა საბჭოს, კერძო სექტორის წარმომადგენლების, საჯარო დაწესებულებების და სხვა) **ჩართულობის შესახებ;**

ინიციატივაში ჩართული იყვნენ :

ნატო ცირეკიძე-საქართველოს წითელი ჯვრის, ტყიბულის ფილიალის თავმჯდომარე,
ეკატერინე ტურაბელიძე-გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი,
იური ელიაშვილი - სს „ევექსის კლინიკები“ - ტყიბულის მთავარი მენეჯერი,
მაგდა კობახიძე - სსიპ „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციის და გადაუდებელი დახმარების ცენტრის“ ტყიბულის რაიონული სამსახურის მენეჯერი,
ტყიბულის რესურსცენტრის ხელმძღვანელი ირინე კორძაია,
ადგილობრივი დეპუტატები,
მერის წარმომადგენლები ადმინისტრაციულ ერთეულებში,
სკოლის დირექტორები,
პედაგოგები
აქტიური მშობლები.

- **ინფორმაცია პროექტისთვის გამოყენებული რესურსის შესახებ. მ.შ.:**

ა) ადამიანური რესურსი - საკუთარი/არასაკუთარი;
ბ) ფინანსური - მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი/დონორის დახმარება;
გ) გამოყენებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსი;

ა) პროექტით განხორციელებული საქმიანობისას გამოყენებული იქნა ადამიანური რესურსი, ექიმი სპეციალისტები:
მარიამ მიქიაშვილი - ორთოპედი,
ნათია დავითულიანი - ოფთალმოლოგი და
ინგა ფარცხალაძე- გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც კოორდინაციას უწევდა დაგეგმილ აქციას.

ბ) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოიყო თანხა (3000 ლარამდე).

გ) საკრებულოს მიერ გამოყოფილი იქნა სატრანსპორტო საშუალება.

- **პროექტის განხორციელების პროცესში გამოკვეთილი პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების აღწერა;**
- **ინფორმაცია იმ პარტნიორების შესახებ, ვინც ჩართულნი იყვნენ პროექტის დაგეგმვის, ან განხორციელების ეტაპზე;**
- **სხვა დამატებითი ინფორმაცია, რაც მნიშვნელოვანი იყო პროექტის წარმატებით განხორციელებისათვის;**

7. **მიღწეული შედეგი და დადებითი გავლენა:**
(დეტალური, დოკუმენტირებული ინფორმაცია მიღწეული შედეგების შესახებ)

პროექტის შედეგად 198 მოზარდმა მიიღო კვალიფიციური სპეციალისტების მომსახურება;

ტყიბულის მუნიციპალიტეტში დაინერგა მოზარდებში ხერხემლის პათოლოგიების პრევენციის კულტურა. გამოვლენილი პათოლოგიების შემდეგ, რამდენიმე მშობელმა ბავშვი მიიყვანა ქუთაისში როგორც სამკურნალოდ და ასევე სარეაბილიტაციო ცენტრში.

მოსახურება მიიღეს შემდეგი სკოლების აღსაზრდელებმა:

20-21 ნოემბერს, ქალაქის, №1, №2, №4, №5, №6 და სოფლების მუხურის, საწირის, ახალსოფლის და ძიროვნის საჯარო სკოლის პირველკლასელებს

4 დეკემბერს, ხრესილის, ორპირის, კურსების, გელათის, გურნის, ჯვარისის, სოჩხეთის, ცუცხვათის, ციხიის და ძმუისის საჯარო სკოლის პირველ და მეორე კლასელებს.

8. მიღებული გამოცდილება და გაკეთებული დასკვნები:

(ამ ნაწილში მოცემული უნდა იყოს პროექტის განმახორციელებლის რჩევები და მოკლე გზამკვლევი იმათთვის, ვინც ეცდება აღნიშნული წარმატებული პრაქტიკა დანერგოს თავის მუნიციპალიეტეტში)

- **წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები** (მ.შ.: კონკრეტული მუნიციპალიტეტისათვის სპეციფიკური ფაქტორების ჩათვლით);

ინიციატივის წარმატება და ბენეფიციარების მადლიერება განაპირობა საკითხის რელევანტურობამ. ჩვენი კონკრეტული მუნიციპალიტეტისთვის სპეციფიკურ ფაქტორს წარმოადგენს ის, რომ მშობლებისთვის ხელმისაწვდომი არაა მსგავსი პროფილაქტიკური ღონისძიებები. ქალაქში არ არის სპეციფიკური პროფილის სპეციალისტები. მშობლების დიდ ნაწილს ნაწილს არ აქვს ინფორმაცია თვალისა და ხერხემლის პათოლოგიების თაობაზე და ვერც ხედავდნენ პატარების პროფილაქტიკური გასინჯვების საჭიროებას. მათი უდიდესი უმეტესობისთვის სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა ინფორმაცია გასინჯული პატარების ხერხემლის გამრუდებებზე, ბტყელტერფიანობაზე (ე.წ. ლანგუსტური ტერფი).

ინიციატივის განხორციელება შესაძლებელი აღმოჩნდა გენდერული თანასწორობის საბჭოსა და საგანმანათლებლო დაწესებულებების დირექტორების, პედაგოგების (განსაკუთრებით კლასის ხელმძღვანელების), შბობლების, მერის წარმომადგენლების მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია თანამშრომლობა კერძო სექტორთან, ამ შემთხვევაში კლინიკა „ევექსთან“, რომელმაც უზრუნველყო პროგრამის მხარდაჭერა: მოწვეული სპეციალისტების უზრუნველყოფა საჭირო ფართით, ხალათებით, ხელთათმანებით, სადეზინფექციო საშუალებებით.

უნდა აღინიშნოს, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს საინფორმაციო მხარდაჭერას: სოციალური ქსელებით, კერძოდ მუნიციპალიტეტის ფეისბუკ-გვერდის საშუალებით ვრცელდებოდა ინფორმაცია პროგრამაზე, მისი განხორციელების დეტალებზე.

- **ინფორმაცია პრატიკის/ინიციატივის მდგრადობის შესახებ** (გთხოვთ, მიყვეთ პუნქტობრივად):

ა) პროექტის შედეგად მუნიციპალური სერვისის მიწოდებაში ასახული ცვლილება;

ბ) პროექტის შედეგად ადგილობრივ ბუჯეტში ასახული ცვლილება;
გ) მოსახლეობის მხარდაჭერა;
დ) შეტანილია თუ არა პროექტი მომავალი წლის ბიუჯეტში;
ა) პროექტის შედეგად მუნიციპალურ სერვისების მიწოდებაში დაინერგა ახალი სერვისი, რომელიც ინიცირებული იყო გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ და ითვალისწინებდა ოჯახებისა და ბავშვების მხარდაჭერას და ხარისხიანი მოსახურების ხელმისაწვდომობას.
ბ) პროგრამის შედეგად გენდერული თანასწორობის პროგრამაში მომდევნო წელსაც გათვალისწინებულია ხარჯი მოცემული სერვისის მისაწოდებლად და არის პირობა, საჭიროების შემთხვევაში მოხდეს მისი გაფართოება და მეტი ბენეფიციარის მოცვა.
გ) პროექტი მხარდაჭერილი იყო მოსახლეობის მიერ და მათი დიდი დაინტერესების შედეგად მოხდა 198 ბავშვის პროფილაქტიკური გასინჯვა
დ) პროექტის ხარჯი გათვალისწინებულია ახალ ბიუჯეტში და მიდის მოლაპარაკება მის შემდგომ ინტეგრირებაზე სოციალური და ჯანდაცვის პროგრამაში.

9. საკრებულოს როლი:

- **პროექტის/ინიციატივის დაგეგმვის, განხორციელების, შედეგების შეფასების საკითხში;**
- **საუკეთესო პრაქტიკის პროგრამის კონკურსში მონაწილეობისათვის პრეოქტის/ინიციატივის შერჩევის საკითხში;**
- **როგორი იყო საკრებულოში არსებული ფრაქციების დამოკიდეულება ამ პრაქტიკის/ინიციატივის მიმართ;**

საკრებულოს როლი ინიციატივის დაგეგმვის, განხორციელების, შედეგების შეფასების საკითხში იყო ძალიან მაღალი გამომდინარე იქიდან, რომ პროექტის ინიციატორი იყო საკრებულოს თავმჯდომარე, გენდერული საბჭოს თავმჯდომარე - ნატალია კობახიძე და გენდერული თაქნასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი პირი ინგა ფარცხალაძე.

10. პრატიკასთან/ინიციატივასთან ან ამავე საკითხთან დაკავშირებული, სამომავლო გეგმების მოკლე მიმოხილვა;

ტყიბულის მუნიციპალიტეტში განხორციელებულ ინიციატივას ჰქონდა დიდი რეზონანსი და გამოიწვია უშუალო სარგებლის მქონე ბენეფიციარებს კმაყოფილება, თვითმმართველობის ორივე რგოლის, მთლიანად საზოგადოების მხრიდან მაღალი შეფასება.

სამომავლოდ იგეგმება ბენეფიციარების არეალის უფრო მეტი გაფართოება, ბავშვებში ხერხემლის პათოლოგიების არა მხოლოდ გამოვლენის - მისი შემდგომი მკურნალობისთვის შიდა და გარე რესურსების მოძიება.

11. საკონტაქტო ინფორმაცია:

- **განაცხადის შევსებაზე პასუხისმგებელი პირის მონაცემები:** სახელი, გვარი, თანამდებობა, საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი, ელ-ფოსტა);

ინგა ფარცხალაძე-ტყიბულის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული სამსახურის, საორგანიზაციო განყოფილების უფროსი სპეციალისტი, გენდერული თანასწორობის

საკითხებზე პასუხისმგებელი პირი, გენდერული თანასწორობის საბჭოს მდივანი, **595 41 47 30, inga.phartskhaladze@gmail.com**

- **პროექტის საკონტაქტო პირების მონაცემები**: იმ პირთა სახელი, გვარი, სამსახურებრივი პოზიცია, ტელეფონი, ელ.ფოსტა, რომლებიც ჩართულნი იყვნენ პროექტის დაგეგმვასა და განხორციელებაში და, საჭიროების შემთხვევაში, შეუძლიათ პროექტის შესახებ დამატებითი ინფორმაცია მიაწოდონ დაინტერესებულ პირებს.

მოწვეული სპეციალისტი ექიმები:

- ორთოპედი - მარიამ მიქიაშვილი, ბავშვთა ორთოპედ-ტრავმატოლოგის, ასოცირებული პროფესორი, ქუთაისის №1 ქუთაისის პირველადი ჯანდაცვის ცენტრის ორთოპედი, **mariam.mikiashvili1@gmail.com, 579 13 34 61**
- ოფთალმოლოგი - ნათია დავითულიანი, ბავშვთა ოფთალმოლოგი, სს „ევექსის კლინიკები“-ქუთაისის კლინიკის ოფთალმოლოგი, **ndavituliani@evex.ge, 555 519 909**
- ტყიბულის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი- ირინე კორძაია- **tkibuli@mes.gov.ge , 577 65 39 11**

თანდართული დოკუმენტების/მასალების სია

გთხოვთ განაცხადს თან დაურთოთ:

ა) პროექტის განხორციელების პროცესში შექმნილი დოკუმენტები;

ბ) პროექტთან დაკავშირებით გამოქვეყნებული ანგარიშები (მ.შ.: მერის, საკრებულოს წევრის ანგარიშები);

გ) ადგილობრივი ეკონომიკური განვითერბის გეგმა, სტრატეგია ან სხვა დოკუმენტი, რომელიც კავშირშია პროექტის განხორციელებასთან;

გ) პროექტის განხორციელების, სხდომების, მოსახლეობასთან შეხვედრების ამსახველი ფოტო-ვიდეო მასალა ან შესაბამისი ლინკი.

https://www.facebook.com/159623154646259/posts/925686994706534/

https://www.facebook.com/809478349122309/posts/6383520718384683/

https://www.facebook.com/1930865240546354/posts/2750823245217212/

https://www.facebook.com/1930865240546354/posts/2750291748603695/

https://www.facebook.com/1930865240546354/posts/2750115201954683/

https://www.facebook.com/1930865240546354/posts/2743239249308945/

https://www.facebook.com/1930865240546354/posts/2739229763043227/

განაცხადის მიღების ვადაა 2021 წლის 1 ნოემბერი - 3 დეკემბერი.

შევსებული განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია გთხოვთ ატვირთოთ ვებ-პორტალზე bestpractice.nala.ge

* **შენიშვნა:** განაცხადის შევსებასთან დაკავშირებით კითხვების არსებობის შემთხვევაში დაუკავშირდით ნინო ზურაბიშვილს ტელ.: 5 95 57 77 34 nzurabishvili@nala.ge ან ელენე ჩხეიძეს ტელ.: 555 23 53 33 echkheidze@nala.ge